ალევის სამების მონასტერი არქეოლოგიური მასალების მიხედვით

ზურაბ ტორჩინავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: არქეოლოგია

ხელმძღვანელი: ნოდარ ბახტაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წადგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ზურაბ ტორჩინავა

27.06.2022

მადლობა

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ ნოდარ ბახტაძეს, რომელიც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში მუდამ მეხმარებოდა დამატებითი მასალის მოწოდებით, რჩევებით და შენიშვნებით.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო არქეოლოგიის დოქტორ ვაჟა მამიაშვილს გაწეული კონსულტაციებისათვის და ნაშრომის საილუსტრაციო ნაწილის გამართვაში დახმარებისთვის.

აბსტრაქტი

ალევის სამების მონასტერი შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ის მდებარეობს ახალგორის მუნიციპალიტეტში, კორინთის თემის, სოფელ ზემო ალევიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 5 კმ-ის დაშორებით. აღნიშნული ძეგლის არქეოლოგიური კვლევა პირველად 2008 წლის ივნის-ივლისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპედიციის მიერ.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ძირითადად გაირკვა სამონასტრო კომპლექსის შემადგენელი კომპონენტების წარმოშობის ხანა და ფუნქციონირების ქრონოლოგიური ფაზები. მონასტერი VIII-IX საუკუნეებში ყოფილა დაარსებული და კომპლექსმა ეს დანიშნულება რამდენიმე ქრონოლოგიური წყვეტის გამოკლებით, XVIII საუკუნემდე შეინარჩუნა.

სამწუხაროდ, იმავე წელს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ამ მხარის ოკუპაციის გამო, კვლევები ვეღარ გაგრძელდა და აღნიშნული არქეოლოგიური მასალაც მხოლოდ ნაწილობრივ იყო გამოქვეყნებული - იმჟამად აღმოჩენილი არტეფაქტების ნაწილი სულ ახლახანს დაბინავდა ეროვნულ მუზეუმში.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს ალევის სამებაში ჩატარებული სწორედ აღნიშნული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი მასალის იმ გამოუქვეყნებელი ნაწილის შესწავლა, რომელიც სამეცნიერო მიმოქცევაში დღემდე არ იყო შემოსული. ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა ამ არტეფაქტების დეტალური აღწერა და ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაცია.

ნაშრომში დღემდე სრულიად უცნობ კერამიკულ ნაკეთობებთან ერთად, კომპლექსის ერთობლიობაში განხილვისთვის, ახალ კონტექსტში წარმოდგენილია ალევის მონასტერში განძის სახით აღმოჩენილი განვითარებული შუა საუკუნეების

ოქრომჭედლობის რამდენიმე ისეთი ნიმუშიც, რომლებიც ძეგლის პირველმკვლევარის მიერ ნაწილობრივ უკვე იყო გამოქვეყნებული.

საძიებო სიტყვები: ალევის სამება, მონასტერი, შუა საუკუნეები, ბაზილიკა, კერამიკა, ოქრომჭედლობა.

Abstract

Alevi Trinity Monastery is one of the most important monuments of medieval Georgian Christian culture. It is located in Akhalgori municipality, 5 km northeast of the village of Zemo Alevi in the Corinth community. Archaeological research of the monument was first conducted in June-July 2008 by the expedition of the Georgian National Museum.

Archaeological excavations have mainly revealed the origin and chronological phases of operation of the constituent components of the monastery complex. The monastery was founded in the VIII-IX centuries and the complex maintained this purpose until the XVIII century, with the exception of a few chronological breaks.

Unfortunately, due to the occupation of this part of Georgia by the Russian Federation in the same year, the research could not be continued and the mentioned archeological material was only partially published - some of the artefacts discovered at that time were recently housed in the National Museum.

The object of the research of the master's thesis is the study of the unpublished part of the material discovered as a result of the mentioned archeological works in Alevi Trinity, which has not been put into scientific circulation until now. A detailed description of these artefacts and typological-chronological classification were conducted within the framework of the paper.

In addition to the hitherto completely unknown pottery, for the discussion of the complex as a whole, the new context presents several specimens of medieval goldsmiths found as treasures in the Alevi Monastery, which had already been partially published by the first researcher of the monument.

Search words: Alevi Trinity, Monastery, the middle ages, Basilica, Pottery, Goldsmithing.